საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ შალვა პაპუაშვილს

ბატონო შალვა,

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერი საინიციატივო ჯგუფის წევრები, შემოვდივართ საკანონმდებლო წინადადებით, რათა საქართველოს კანონმდებლობა მოყვანილ იქნას შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციურ პრინციპებთან, მ.შ: კონსტიტუციის მე-5 მუხლთან: „სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე, ასევე სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით“. წინადადება მოიცავს შემდეგ კანონპროექტებს:

<u>სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულია ცვლილებები:</u>

1. სესხებზე წლიური პროცენტის ზედა ზღვარი შემცირდება 25% დან 15 %-მდე. ეს შეზღუდვა გავრცელდება როგორც მევახშეებზე, ისე ბანკებზე და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე.

2. შეიზღუდება სესხზე დარიცხული პირგასამტეხლოების ოდენობა, ასევე შუამავლებისთვის გადახდილი თანხები.

3. ჯამში მრავალწლიანი კრედიტებზე დარიცხული პროცენტის და სხვა თანხების ზედა ზღვარი განისაზღვრება ძირი თანხის არაუმეტეს 100%.

4. აიკრძალება ბანკების მიერ უძრავი ქონების ე.წ. კერძო აუქციონებზე გაყიდვა სააღსრულებო ფურცლის გარეშე;

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-12291/23
19 09 2023 წ. ფურცლ. 12

„ნოტარიატის შესახებ“ კანონში გათვალისწინებულია ცვლილება რომლის მიხედვითაც:

5. გაუქმდება სააღსრულებო ფურცლების გაცემა ნოტარიუსების მიერ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გათვალისწინებულია ცვლილება რომლის მიხედვითაც:

6. გაუქმდება გამოსახლების საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ აღსრულება.

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონში გათვალისწინებულია ცვლილება, რომლის მიხედვითაც:

7. კერძო არბიტრაჟებს ჩამოერთმევა ფიზიკური პირების სასესხო და სხვა საქმეების განხილვის კომპეტენცია;

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონში გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებები:

8. აიკრძალება უძრავი ქონების ჩამოფასება აუქციონებზე 70%-ზე დაბლა;

9. აიკრძალება მოვალეების იძულებითი გამოსახლება ალტერნატიული ფართის შეთავაზების გარეშე;

10. გარდა ამისა ყველა ზემოაღნიშნული ცვლილების განხილვამდე ვთავაზობთ პარლამენტს მიიღოს შესწორება კანონში რომლის მიხედვითაც 2025 წლის 1 იანვრამდე შეჩერდება იძულებითი გამოსახლებები.

საინიციატივო ჯგუფის წევრები:

1. კახა კუკავა, [redacted]

2. მარიამ კაკიაშვილი, [redacted] ტელ: [redacted]

3. შორენა [redacted]

4. [redacted]

5. [redacted]

6. [redacted]

7. [redacted]

8. [redacted]

9. [redacted]

10. [redacted]

11 [redacted]

12 [redacted]

13. [redacted]

14 [redacted]

15 [redacted]

16 [redacted]

17. [redacted]

პროექტი

საქართველოს კანონი
საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა
და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი 24.07.1997 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. ამოღებულ იქნეს 301-ე მუხლი.
2. ამოღებულ იქნეს 302-ე მუხლი.
3. ამოღებულ იქნეს 306-ე მუხლი.
4. ამოღებულ იქნეს 306^1-ე მუხლი.
5. ამოღებულ იქნეს 306^2-ე მუხლი.
6. ამოღებულ იქნეს 306^3-ე მუხლი.
7. ამოღებულ იქნეს 306^4-ე მუხლი.
8. ამოღებულ იქნეს 306^5-ე მუხლი.
9. ამოღებულ იქნეს 306^6-ე მუხლი.
10. ამოღებულ იქნეს 307-ე მუხლი.
11. ამოღებულ იქნეს 308-ე მუხლი.
12. ამოღებულ იქნეს 309-ე მუხლი.
13. ამოღებულ იქნეს 310-ე მუხლი.

14. 514-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გამოსყიდვის ვადა არ უნდა იყოს სამ წელზე ნაკლები და არ შეიძლება აღემატებოდეს ათ წელს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.“

15. 625-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრეულებაში მითითებული, მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯების (გარდა სანოტარო წესით იპოთეკის დამოწმებასთან და იპოთეკის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯებისა ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის საშუალო *არითმეტიკულის 1,5-მაგი* ოდენობის ერთ მეთორმეტედს, რომელიც ძალაშია ყოველი წლის 1 მარტიდან.“

16. ამოღებულ იქნეს 625-ე მუხლის მე-4 ნაწილი;

17.625-ე მუხლის მე-5 ნაწილში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სესხის გაცემის შემთხვევაში ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის *1,5 პროცენტს ყოველთვიურად.* სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული ყოველთვიური 1,5 პროცენტის მიზნებისათვის, გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ/დაკისრებულ პირგასამტეხლოსა

და ნებისმიერი ფორმის ფინანსურ სანქციაში არ გაითვალისწინება სესხის ვადის გადაცილებისას (ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე) პირგასამტეხლოს სახით ერთჯერადად არაუმეტეს 20 ლარის (ან უცხოური ვალუტით მისი ეკვივალენტის), აგრეთვე ამ მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად სესხის რეფინანსირების ან სესხის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში წინსწრებით დაფარვის საკომისიოს დაკისრება. სესხის ვადის გადაცილებისას ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (მათ შორის, სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ისეთი ხარჯების, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის *ერთმაგ* ოდენობას. ამ ნაწილის მიზნებისათვის, სესხის ნარჩენ ძირითად თანხაში არ გაითვალისწინება სესხის ვადის გადაცილებისას სესხის გადავადების, სესხის რეფინანსირების ან/და სესხის რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის ნაზარდი, ხოლო სესხის ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრად არ მიიჩნევა ვადის გადაცილების აღმოფხვრა სესხის რესტრუქტურიზაციის, სესხის რეფინანსირების (თუ რეფინანსირება ხდება თავდაპირველ გამსესხებელთან ხელშეკრულების დადებით) ან/და გადავადების გზით. ამ ნაწილის მიზნებისათვის, სესხის ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრად სესხის რესტრუქტურიზაცია, სესხის რეფინანსირება (თუ რეფინანსირება ხდება თავდაპირველ გამსესხებელთან ხელშეკრულების დადებით) და გადავადება მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელმა სრულად გადაიხადა ვადის გადაცილებისას დაკისრებული პირგასამტეხლოს, ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის, საკომისიოს და ფინანსური ხარჯის შესაბამისი ფულადი სახსრები".

18. 625-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 ნაწილი:

„9. კრედიტორის სასარგებლოდ გადახდილი თანხა (სარგებელი, პირგასამტეხლო, ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯი) არ შეიძლება აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირი თანხის 100 %-ს“.

19.625-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 ნაწილი:

„10. შუამავლისთვის მსესხებლის მიერ გადახდილი გასამრჯელო ჩაითვალოს კრედიტორისთვის გადახდილ თანხად.“

20. ამოღებულ იქნეს 745-ე მუხლი.

21. ამოღებულ იქნეს 751-ე მუხლი.

22. ამოღებულ იქნეს 752-ე მუხლი.

23. ამოღებულ იქნეს 753-ე მუხლი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

პროექტი

საქართველოს კანონი
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. ამოღებულ იქნეს 48-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლი 1-ლი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „1. სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, *6 თვემდე* ვადით გადადოს ან გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება ვალის სრულ დაფარვამდე, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი“.

3. ამოღებულ იქნეს 268-ე მუხლი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი — სალომე ზურაბიშვილი

პროექტი

საქართველოს კანონი
„ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. კანონიდან (სსმ, 46, 22/12/2009) ამოღებულ იქნას მე-40 მუხლი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

პროექტი

საქართველოს კანონი
„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში“
ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში (სსმ, 13(20), 01/05/1999) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ამ კანონის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენებისას, აგრეთვე ამავე კანონის 83-ე, 84-ე და 90^1 მუხლებით განსაზღვრული მოქმედებების განხორციელებისას, თუ აღსრულების ადგილზე შექმნილი განსაკუთრებული ვითარების (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, გარდაცვალება, *მცირეწლოვანი ან არასრულწლოვანი ბავშვები ოჯახში, შშმ და ასაკოვანი პირები და სხვა საგანგებო შემთხვევა)* გამო შესაბამისი მოქმედების გაგრძელება არ შეესაბამება მორალის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს, მოვალის განცხადების საფუძველზე აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია არა უმეტეს *6 თვის* ვადით გადადოს იძულებითი აღსრულების ესა თუ ის ღონისძიება. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი ვადა ერთჯერადად გააგრძელოს კიდევ *6 თვემდე* ვადით.

2. 71-ე მუხლს დაემატოს შემდეგი მე-2 პუნქტი:
„1. იძულებითი აუქციონის დაწყებიდან 6 თვის მანძილზე გაყიდვის ფასი არ უნდა იყოს შეფასებული ღირებულების 90% ნაკლები, ხოლო 6 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ - 75%-ზე ნაკლები“.

3. 84-მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააღსრულებო ფურცელში მითითებული უძრავი ქონებიდან მოვალის გამოსახლება (გამოყვანა) ხდება მის კუთვნილ მოძრავ ქონებასთან ერთად.“

4. კანონის 84-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„არ დაიშვება იძულებითი გამოსახლება ვიდრე, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო მოვალეს არ უზრუნველყოფს კონსტიტუციით გარანტირებული ღირსეული საცხოვრებელი ფართით“.

5. კანონს დაემატოს 113[4]-ე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„113[4]. 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეჩერებულ იქნეს 84-ე მუხლით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

პროექტი

საქართველოს კანონი
„არბიტრაჟის შესახებ“ კანონში
ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონში (სსმ, 13, 02/07/2009) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს „გ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) დავები მხოლოდ იურიდიულ პირებს შორის.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი